საინფორმაციო ფურცელი

ახალქალაქი ჰესი

მოკლე მიმოხილვა

ახალქალაქი ჰესი („პროექტი“) არის სრულიად ახალი, გარემოზე ზემოქმედების კუთხით - „მწვანე“ ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე. პროექტი წარმოდგენილია ორი დამოუკიდებელი წყალმიმღები ნაგებობით, ორი მიწისქვეშა სადაწნეო მილსადენითა და ორი სადგურით, ქსელთან საერთო მიერთებით. პროექტის საერთო დადგმული სიმძლავრეა 9.1 მგვტ, მისი წლიური გამომუშავება კი დაახლოებით 49 გვტ-ია. პროექტი გამოიყენებს მდ. ფარავანისა და მდ. კორხის წყალს,გამომავალი წყალი კი ჩაედინება მდ. ფარავანში, არსებული ფარავანი ჰესის ზედა ბიეფში. გამომუშავებული ელექტროენერგია მიეწოდება სახელმწიფო ელექტროქსელს ახალი 35 კვ გადამცემი ხაზის საშუალებით.

დეველოპერი კომპანია - შპს „აისი“ სამუშაოების შესრულებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ახორციელებს, რაც გამოიხატება გარემოსა და სოციალურ ასპექტებში ზემოქმედების მინიმუმადე დაყვანითა და ნულოვანი ზიანით ადამიანებისათვის. იგივე ამოცანების შესრულება მოეთხოვება კონტრაქტორს სამუშაოს შესრულების პროცესში.

შპს „აისის“ გეგმის თანახმად, კომპანია მაქსიმალურად შეუწყობს ხელს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული(ზქმ) თემების მდგრად განვითარებას სხვადასხვა სოციალური პროექტის დაფინანსების გზით, რაც უდავოდ დადებითად აისახება პროექტზე;

მიუხედავად იმისა, რომ შპს „აისი“-ს არ აქვს მთავრობის მიერ მოთხოვნილი რაიმე სახის ვალდებულება, კომპანიის კეთილი ნებაა მხარი დაუჭიროს იმ თემების განვითარებას სოფლად, რომლებიც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებად ითვლებიან. 2019 წლის ივლისში, პროექტის საწყის ეტაპზე კომპანიამ ჩაატარა საჭიროებების კვლევა. აღნიშნული კვლევის თანახმად, სოფლების დილისკას, კორხისა და ორჯას მოსახლეობის უმრავლესობამ შემდეგ სოციალურ პროექტებს დაუჭირა მხარი:

დილისკა:

1. სასმელი წყლის მილსადენის რეაბილიტაცია
2. ახალ სასაფლაომდე მისასვლელი გზის ასფალტირება
3. ძველ სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოხრეშვა

კორხი:

1. სპორტული დარბაზის მშენებლობა
2. საცურაო აუზის მშენებლობა მდ. კორხზე
3. საქონლისთვის სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა

ორჯა:

1. საირიგაციო სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია
2. საქონლისთვის სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა
3. საცურაო აუზის მშენებლობა მდ. ორჯაზე

AKHALKALAKI HPP

Info@ais-georgia.ge
www.ais-georgia.ge
(995) 591 883 833

შერჩეული სოციალური პროექტების განსახორციელებლად კომპანიამ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს ახალქალაქის მუნიციპალიტეთან, სოფლის გამგებლებთან და სოფლის დელეგატებთან (სამი ადამიანი თითოეული სოფლიდან), რომლებიც არჩეულნი არიან სოფლის მაცხოვრებელთა უმრავლესობის მიერ და უფლებამოსილნი არიან ხელი მოაწერონ ურთიერთგაგების მემორანდუმს სოფლის მოსახლეობის სახელით;

ურთიერთგაგების მემორანდუმი სოფლებთან დილისკა და ორჯა გაფორმდა 2020 წლის 2 ივლისს, ხოლო კორხთან - 2020 წლის 14 აგვისტოს.

იმისათვის, რომ წარმოდგენილი საზოგადოების აზრი გათვალისწინებული იქნას, კომპანიამ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებს შესთავაზა დელეგატების არჩევა საკუთარი სოფლებიდან. დელეგატები უდიდეს როლს თამაშობენ სოციალური პროექტების განხორციელების საქმეში. წარმოადგენენ მთავარ მაკავშირებელ რგოლს და ასრულებენ შუამავლის როლს კომპანიასა
და თემს შორის.

კომპანიამ მუნიციპალიტეტიდან მოიპოვა მშენებლობის ნებართვები სოციალური პროექტების განსახორციელებლად.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია სოციალური პროექტის სტატუსებისა (2021 წლის 31 მარტის მდგომარეობით)

პროექტი	სტატუსი	ბენეფიციარები
კორხის სპორტული დარბაზი	• ძველი ნაგებობის დემონტაჟი • ჩაისხა ახალი ფუნდამენტი • ამჟამად პროექტი შეჩერებულია ზამთრის სეზონის გამო • სამუშაოები განახლდება 2021 წლის აპრილში	სოფ. კორხის ახალგაზრდობა
კორხის საცურაო აუზი	• აუზის ექსკავირება დასრულებულია • ამჟამად პროექტი შეჩერებულია ზამთრის სეზონის გამო • სამუშაოები განახლდება 2021 წლის აპრილში	სოფ. კორხის ახალგაზრდობა

Info@ais-georgia.ge
www.ais-georgia.ge
(995) 591 883 833

პროექტი	სტატუსი	ბენეფიციარები
დილისკას სასმელი წყლის მილსადენი	• მილსადენი ჩადებულია წარმატებით • ახალი მილების დაერთება არსებულ მილებზე განხორციელდება აპრილში	სოფ. დილისკას მოსახლეობის 60%-ზე მეტი
ორჯას საცურაო აუზი	• პროექტი დაიწყება 2021 წლის აპრილში	სოფ. ორჯას მოსახლეობა
გზის საფარის მოწყობა დილისკაში (200 მეტრი)	• პროექტი დაიწყება 2021 წლის აპრილში	სოფ. დილისკას მოსახლეობა
ორჯას სატუმბი სადგური	• დასრულდა ძველი ნაგებობის დემონტაჟი • ჩაისხა ახალი ფუნდამენტი • ამჟამად პროექტი შეჩერებულია ზამთრის სეზონის გამო • სამუშაოები განახლდება 2021 წლის აპრილში	სოფ. ორჯას მოსახლეობა
საქონლისთვის სასმელი წყლის ნაგებობის გამოყოფა კორხში	• პროექტი დაიწყება 2021 წლის აპრილში	სოფ. ორჯას მოსახლეობა, რომელიც მისდევს მესაქონლეობას
საქონლისთვის სასმელი წყლის ნაგებობის გამოყოფა ორჯაში	• პროექტი დაიწყება 2021 წლის აპრილში	სოფ. ორჯას მოსახლეობა, რომელიც მისდევს მესაქონლეობას

Info@ais-georgia.ge
www.ais-georgia.ge
(995) 591 883 833

გარდა სოციალური პროექტების ინვესტირებისა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი პროექტის ფარგლებში დამატებით შემოსავალს მიიღებს ობიექტის ოპერირების ეტაპზეც.

გარდა ამისა, კომპანია ატარებს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების პოლიტიკას როგორც ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემის, ისე მუნიციპალურ და რეგიონალურ დონეზე;

შპს „აისი“-ს სოციალურმა გუნდმა გამოაქვეყნა პროექტთან დაკავშირებული ყველა პოზიცია (ვაკანსია) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სოფლებში - დილისკაში, ორჯასა და კორხში.

რაც შეეხება სოციალური პროექტების განხორციელებას, პროექტის პირველ ეტაპზე დასაქმდნენ მხოლოდ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემის წევრები.

სოციალური პროექტები

Infra Construction -TC Group

შპს „აისი“

AKHALKALAKI HPP
Info@ais-georgia.ge
www.ais-georgia.ge
(995) 591 883 833

კომპანია ასევე უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივ შესყიდვებს მუნიციპალურ დონეზეც:

1. ადგილობრივი სპეციალიზებული მაღაზიები
2. ავტოსამრეცხაოები
3. ავტოსახელოსნოები
4. საკვების მიწოდება პერსონალისთვის

კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან

კომპანია აცნობიერებს, რომ დაინტერესებული მხარეების წარმატებული ჩართულობა დამოკიდებულია დაინტერესებული მხარეებისთვის საჭირო ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში მიწოდებაზე.

კომპანიის გარემოს დაცვისა და სოციალურ მენეჯერს, მოსახლეობასთან ურთიერთობის ოფიცერთან ერთად აქვს რეგულარული შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობასთან, სოფლის გამგებლებთან, სოფლისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან. დაინტერესებულ მხარეებთან ხდება ყველა საჭირო ინფორმაციის გაცვლა რეგულარულად და მათი მოთხოვნის საფუძველზე.
პრეტენზიებისა და საჩივრების დროულად და ეფექტიანად გადაჭრის ხელშეწყობის მიზნით კომპანიამ შეიმუშავა და დანერგა დაინტერესებული მხარეების პრეტენზიებისა და საჩივრების მიღებისა და დაკმაყოფილების მექანიზმი.

პროექტის ფარგლებში შემუშავებული საჩივრების მექანიზმი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. პრეტენზია და საჩივარი შესაძლოა ეცნობოს კომპანიის გარემოს დაცვისა და სოციალურ მენეჯერსა და მოსახლეობასთან ურთიერთობის ოფიცერს სიტყვიერად, წერილობით, ელექტრონული ფოსტით ან ტელეფონით.

საკონტაქტო ინფორმაცია ხელმოსაწვომია თემის წევრებსათვის და ასევე მოცემულია კომპანიის ვებ-გვერდზეც. კომპანია იღებს როგორც ხელმოწერილ, ისე ანონიმურ საჩივრებს.
შპს „აისი“ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო პირობებს. კომპანია ზრუნავს ოფისებისა და ბანაკების სათანადოდ აღჭურვაზე ყველა საჭირო მასალით, რაც აუცილებელია ინფიცირების თავიდან ასაცილებლად, როგორიცაა ნიღბები, სადეზინფექციო ხსნარები და ბარიერები, ინფრაწითელი თერმომეტრი, სხეულის ტემპერატურის აღრიცხვის ჟურნალი, საინფორმაციო ნიშნები და ჯანმოს რეკომენდაციების პლაკატები; ყველა თანამშრომელი ვალდებულია ატაროს ნიღაბი/პირბადე და დაიცვას დადგენილი უსაფრთხო დისტანცია.

Info@ais-georgia.ge
www.ais-georgia.ge
(995) 591 883 833